

საპრესიელი

საპრესიელი გაზეთი

შაბათი 14 აგვისტო 1999 №154 (927)

ფასი 50 თეთრი

საქართველოს
საპრესიო
სააგენტო



შტაფი ბრაფმა ნერტილი დასვა

ვაზიდა, რადგან ოცნება ალარ დარჩა

— ჩოგბურთი მარად დარჩება ჩემი ცხოვრების უმთავრეს ნაწილად — გვპირდება შტეფი გრაფი და კორტს სტოვებს. გუშინ გრაფის მშობლიურ ქალაქ შაიდელბერგში, გერმანიაში, გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც 30 წლის ვარსკვლავმა განაცხადა, რომ პროფესიონალი ჩოგბურთელის კარიერას ამთავრებს... დაუყოვნებლივ. — გული არაფერზე მწყდება, რადგან ვგრძნობ, რომ რაც შემიძლია, ყველაფერს მივაღწიე... — ადამიანი სპორტიდან წასვლაზე მწვერვალზე ყოფნისას ფიქრობს...

...საბაბენტო „როიტერის“ მიერ გავრცელებული ცნობა გრაფის კორტიდან წასვლის შესახებ, ჯვარი აქაურობას და, ნეკროლოგს წააგავს. შიგ ასეთი ფრაზები წერია: „სპორტსმენად დაბადებულს, მრავალი მეტოქე დაუმარცხებია თავისი მძლავრი ფორჰენდით...“ ანდა „ცხოვრება ხშირად უწყობდა გრაფს რთულ გამოცდებს...“ იქნებ იმ კაცი-სთვის, ვინც გრაფის პრესკონფერენციის შემდეგ ხელი კალამს მოჰკიდა, თავისი დასაწერი წერილი, ქვეცნობიერად, მართლა ნეკროლოგი იყო? შეიძლება, მაგრამ სულაც არაა აუცილებელი მისი განწყობა სხვებსაც გადასდოს, მით უფრო თუ თავად გრაფი ამბობს, ყველაფერი, რისი ამონურვაც შეიძლება, ამოვწურეო. ამონურული თემა, თუნდაც დიდი, ყოველთვის დამთავრებულია და ჯობს წერტილი დროულად და მოხდენილად დაეცას.

ახალი ათეულით ახალ ათასწლეულში

დღეს ეროვნული ჩემპიონატების ახალი ათეულის ათვლა იწყება. მეტერთმეტე ჩემპიონატი, სათავეს მეოცე საუკუნის მიწურულს რომ იღებს, ახალ ათასწლეულში დასრულდება. იმედია, ქართული ფეხბურთის შინაარსიც ახლებური, 21-ე საუკუნის საკადრისი იქნება.

ჩემპიონატის დებულება, კალენდარი, მონაწილეთა განაცხადები და პირველი ტურის ანონსი იხილეთ მეოთხე, მეხუთე და მეექვსე გვერდებზე

1 ტური
«ა» ზონა 14 აგვისტო, შაბათი
სიონი თბილისი
სამგურალი ვიზ ჯორჯია
15 აგვისტო, კვირა
ბათუმი დინამო
16 აგვისტო, ორშაბათი
ლოკომოტივი არსენალი
«ბ» ზონა 14 აგვისტო, შაბათი
კოლხეთი სოზი
იზირია მეგრანი
15 აგვისტო, კვირა
დილა თსუ
16 აგვისტო, ორშაბათი
გორდა ტორკედო



შარშანდელი „ბათუმი“ — „დინამო“. თემურ ტულუში (№10) და მიხეილ აშვეთია



დენიტ ლომიძე

დენიტ ლომიძე დისიდენტი

როგორ ვაზაბათ? უკვირს დინამოს ბელგიელ მკაპარს

ძველი თბილისი, სიმეუდროვე, სასიამოვნო გარემო, მშვენიერი კერძო სასტუმრო „შარმი“, წინ ლამაზი ხედი. რესპონდენტიც ისეთი, ურთიერთობას რომ გვიოლეგს, ენაწყლიანი და ალაღად მოსაუბრე. თბილისის „დინამოს“ ბელგიელი მეკარე დენიტ ლომიძე დღეს ერთადერთია, ჩვენს ჩემპიონებს უცხოელთაგან რომ შერჩა. მწვრთნელებმა, ბოსკამპმა და დე იონგმა ოთხშაბათს სამშობლოს მიაშურეს, უფრო ადრე კი გუნდი ბრაზილიელმა დე სოუზამ დატოვა. დარჩა მხოლოდ ის — მეკარე, დარჩა და კიდევ კარგა ხანს მოუწევს „დინამოში“ ყოფნა, კონტრაქტი იანერამდე აქვს. იქნებ, ვახსოვთ, დონდთან პირველი ინტერვიუ მისი თბილისში ჩამოსვლისთანავე შემოგთავაზეთ. მაშინ ბევრი არაფერი გვეკონდა საკითხავი, საუბარიც ხანმოკლე იყო. ახლა სხვა დროა. მან უკვე მოასწრო ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებში „დინამოს“ კარის დაცვა, გუნდსაც, ასე თუ ისე, შეეგუა და ხვალ, ალბათ, ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატშიც ექნება დებიუტი. დონდთან საუბრის ძირითადი თემა კი ისევ ის ავადსახსენებელი მატჩია, „დინამომ“ კიშინიოვში „ზიმბრუსთან“ რომ წააგო, მატჩი, რომელშიც ბელგიელი უდავოდ ყველაზეგან გამოჩნეული გახლდათ. და მისი თვალთ დახახული „დინამოც“ ხომ საინტერესოა?

იხილეთ მესამე გვერდი

იხილეთ მეცამეტე გვერდი

ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

საქართველოს 1999-2000 წლების XI ჩემპიონატი გაიმართება ორ ლიგად: I ლიგა და რეგიონული ლიგა

ლიგაში მონაწილეობს 16 გუნდი.

ლიგაში მონაწილე გუნდები დაიყოფიან ორ, „ა“ და „ბ“ ზონად (8-8 გუნდი) X ჩემპიონატში დაკავებული ადგილების მიხედვით. გუნდები, რომლებიც დაიკავებენ კენტი (I, III, V და ა.შ.) ადგილებს, შეადგენენ „ა“ ზონას. გუნდები, რომლებიც დაიკავებენ ლუწი (II, IV, VI და ა.შ.) ადგილებს, შეადგენენ „ბ“ ზონას.

ჩემპიონატის პირველ ეტაპზე (1999 წლის აგვისტო-დეკემბერი) „ა“ და „ბ“ ზონის გუნდები თავიანთ ზონებში წრიული სისტემით ატარებენ შეხვედრებს შინ და სტუმრად.

პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით „ა“ და „ბ“ ზონაში I-IV ადგილებზე გასული გუნდები (სულ 8 გუნდი) მეორე ეტაპზე (2000 წლის თებერვალი-მაისი) აგრძელებენ ბრძოლას განახევრებული ქულებით, საპრიზო ადგილებისთვის (ორ წრედ, შინ და სტუმრად) და მომდევნო მე-12 ჩემპიონატში იასპარეზებენ I ლიგაში.

გუნდები, რომლებიც I ეტაპზე „ა“ და „ბ“ ზონებში (1999 წლის აგვისტო-დეკემბერი) დაიკავებენ V-VIII ადგილებს (სულ 8 გუნდი), შინ და სტუმრად განახევრებული ქულებით აგრძელებენ ბრძოლას IV-XVI ადგილების დასაკავებლად (2000 წლის თებერვალი-მაისი). IX-XII ადგილებზე გასული გუნდები ინარჩუნებენ 2000-2001 წლებში I ლიგაში მონაწილეობის უფლებას, ხოლო XIII-XVI ადგილებზე გასული გუნდები გადაყვანილნი იქნებიან მეორე ლიგაში. აქედან გამომდინარე, I ლიგაში 2000-2001 წლების ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 12 გუნდი.

გუნდები, რომლებიც I ეტაპის შემდეგ დააგროვებენ კენტი ქულებს, დამატებით ერთი ქულა და შემდეგ გაუნახევრდებათ.

რეგიონული ლიგა 1999-2000 წლების XI ჩემპიონატში დაიყოფა ტერიტორიული პრინციპით ოთხ ზონად: აღმოსავლეთის მხარის „ა“ და „ბ“ ზონები და დასავლეთის მხარის „ა“ და „ბ“ ზონები. მატჩები ჩატარდება წრიული სისტემით (შინ და სტუმრად).

რეგიონული ლიგის ოთხივე ქვეჯგუფში I და II ადგილებზე გასული გუნდები (სულ 8 გუნდი) და I ლიგიდან გაყვარდნილი 4 გუნდი 2000-2001 წლების XII ჩემპიონატში შექმნიან II ლიგას. სულ 12 გუნდი, ხოლო გუნდები, რომლებიც ვერ მოხვდნენ II ლიგაში, რჩებიან რეგიონულ ლიგაში.

X ჩემპიონატის II ჯგუფის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარის გამარჯვებული გუნდების განაწილება XI ჩემპიონატის I ლიგის „ა“ და „ბ“ ზონებში მოხდება კენჭისყრით.

1999 წლის სექტემბრიდან ჩატარდება ზონური გათამაშებები შემდეგი დაყოფის პრინციპით: აჭარა, აფხაზეთი, ქ. თბილისი, კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი-მცხეთა-მთიანეთი, ზემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ამ ტურნირებს ატარებენ შესაბამისი რეგიონული ფედერაციები, გამარჯვებული გუნდები კი მოიხვედნენ უფლებას, იასპარეზონ რეგიონულ ლიგაში.

2000-2001 წლებში საქართველოს XII ჩემპიონატი ჩატარდება სამ ლიგად. I ლიგა — 12 გუნდი, II ლიგა — 12 გუნდი და ტერიტორიული პრინციპით დაყოფილი რეგიონული ლიგა, აგრეთვე ზონური გათამაშება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია



საქართველოს XI ჩემპიონატი პირველი ლიგა კალენდარი

«ა» ზონა		«ბ» ზონა	
პირველი წრე			
პირველი ტური			
14.08 შა	სიონი : თბილისი	14.08 შა	კოლხეთი : სობი
	სამგურალი : ვიტ ჯორჯია		იბერია : მერანი
15.08 კვ	ბათუმი : დინამო	15.08 კვ	დილა : თსუ
16.08 ორშ	ლოკომოტივი : არსენალი	16.08 ორშ	გორდა : ტორპედო
მეორე ტური			
21.08 შა	არსენალი : დინამო	21.08 შა	სობი : მერანი
	ვიტ ჯორჯია : სიონი		ტორპედო : დილა
	ლოკომოტივი : სამგურალი		კოლხეთი : გორდა
22.08 კვ	თბილისი : ბათუმი	22.08 კვ	თსუ : იბერია
მესამე ტური			
29.08 კვ	სამგურალი : არსენალი	29.08 კვ	გორდა : სობი
	ბათუმი : ვიტ ჯორჯია		დილა : კოლხეთი
	დინამო : თბილისი	30.08 ორშ	მერანი : თსუ
30.08 ორშ	სიონი : ლოკომოტივი		იბერია : ტორპედო
მეოთხე ტური			
11.09 შა	ვიტ ჯორჯია : დინამო	11.09 შა	ტორპედო : მერანი
	ლოკომოტივი : ბათუმი		კოლხეთი : იბერია
	სამგურალი : სიონი		გორდა : დილა
12.09 კვ	არსენალი : თბილისი	12.09 კვ	სობი : თსუ
მეხუთე ტური			
18.09 შა	სიონი : არსენალი	18.09 შა	დილა : სობი
	ბათუმი : სამგურალი		იბერია : გორდა
	თბილისი : ვიტ ჯორჯია		მერანი : კოლხეთი
19.09 კვ	დინამო : ლოკომოტივი	20.09 ორშ	თსუ : ტორპედო
მეექვსე ტური			
25.09 შა	არსენალი : ვიტ ჯორჯია	25.09 შა	სობი : ტორპედო
	ლოკომოტივი : თბილისი		გორდა : მერანი
	სიონი : ბათუმი		დილა : იბერია
26.09 კვ	სამგურალი : დინამო	26.09 კვ	კოლხეთი : თსუ
მეშვიდე ტური			
02.10 შა	თბილისი : სამგურალი	02.10 შა	იბერია : სობი
	ბათუმი : არსენალი		მერანი : დილა
03.10 კვ	დინამო : სიონი		თსუ : გორდა
	ვიტ ჯორჯია : ლოკომოტივი	03.10 კვ	ტორპედო : კოლხეთი
მეორე წრე			
მეორე ტური			
16.10 შა	დინამო : ბათუმი	16.10 შა	სობი : კოლხეთი
	ვიტ ჯორჯია : სამგურალი		ტორპედო : გორდა
17.10 კვ	თბილისი : სიონი		მერანი : იბერია
	არსენალი : ლოკომოტივი	17.10 კვ	თსუ : დილა
მეცხრე ტური			
23.10 შა	დინამო : არსენალი	23.10 შა	მერანი : სობი
	სიონი : ვიტ ჯორჯია		გორდა : კოლხეთი
	სამგურალი : ლოკომოტივი	24.10 კვ	დილა : ტორპედო
24.10 კვ	ბათუმი : თბილისი		იბერია : თსუ
მეათე ტური			
30.10 შა	თბილისი : დინამო	30.10 შა	სობი : გორდა
	ლოკომოტივი : სიონი		კოლხეთი : დილა
	ვიტ ჯორჯია : ბათუმი		ტორპედო : იბერია
31.10 კვ	არსენალი : სამგურალი	31.10 კვ	თსუ : მერანი
მეთერთმეტე ტური			
06.11 შა	სიონი : სამგურალი	06.11 შა	იბერია : კოლხეთი
	თბილისი : არსენალი		დილა : გორდა
07.11 კვ	ბათუმი : ლოკომოტივი		თსუ : სობი
	დინამო : ვიტ ჯორჯია	07.11 კვ	მერანი : ტორპედო
მეთორმეტე ტური			
13.11 შა	სამგურალი : ბათუმი	13.11 შა	სობი : დილა
	არსენალი : სიონი		გორდა : იბერია
	ლოკომოტივი : დინამო		კოლხეთი : მერანი
14.11 კვ	ვიტ ჯორჯია : თბილისი		ტორპედო : თსუ
მეცამეტე ტური			
19.11 პარ	დინამო : სამგურალი	19.11 პარ	თსუ : კოლხეთი
20.11 კვ	თბილისი : ლოკომოტივი	20.11 კვ	ტორპედო : სობი
	ვიტ ჯორჯია : არსენალი		მერანი : გორდა
	ბათუმი : სიონი		იბერია : დილა
მეთოთხმეტე ტური			
28.11 კვ	სამგურალი : თბილისი	28.11 კვ	სობი : იბერია
	სიონი : დინამო		დილა : მერანი
	არსენალი : ბათუმი		გორდა : თსუ
	ლოკომოტივი : ვიტ ჯორჯია		კოლხეთი : ტორპედო

ავვისტოში თამაშები 18 საათზე დაიწყება

დონაშო თბილისი

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'რომან შოთაძე', 'გია გვაგუაძე', 'იოსებ გრიშკაშვილი'.

ანანაშო თბილისი

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'ჯონი ფირცხალაშვილი', 'დავით ჩახავა', 'თემურ ჩლაიძე'.

ტორაშო ქუთაისი

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'მიხეილ ქორქია', 'დავით ყიფიანი', 'გრიგოლ ჭანტურია'.

დოლა გორი

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'გურამ ნოზაძე', 'მერაბ ნუციშვილი', 'დავით მელიქიანი'.

ლოპოპოტიშვილი თბილისი

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'აკაკი ჩხაიძე', 'მურთაზ ხურცილავა', 'დავით ჯანელიძე'.

სამშობლო წყალტუბო

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'გრიგოლ ქათამაძე', 'რევაზ ბურკაძე', 'ოთარ ბობოხიძე'.

გათუში

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'თემურ ბეჟანიძე', 'ჯანი კარნევალი', 'ნიკოლოზ ტოგონიძე'.

სოფო ბოლნისი

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'გიორგი მგალობლიშვილი', 'სპარტაკ არჩვაძე', 'თემურ ვოლკოვი'.

მიტ ჭორჭიბი თბილისი

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'გურამ მრუხაძე', 'სერგო კოტრიკაძე', 'სერგო ჭურაძე'.

თბილისი

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'მალხაზ ლომთაძე', 'ოთარ კორღალიძე', 'მირზა ბათიაშვილი'.

ოსო თბილისი

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'დავით გოდერძიშვილი', 'კოტე დოლიძე', 'მერლანი გუგუნიძე'.

სოფო

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'ანგული მიქავა', 'ფრიდონ გოციროძე', 'გიორგი ბაბუაძე'.

გორა რუსთავი

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'ვალერი ქოქიაშვილი', 'იასონ ალადაშვილი', 'ამაშა ქორიძე'.

მერაბი თბილისი

Table with 2 columns: Name and Price. Includes items like 'ნუგზარ ნავაძე', 'თემურ ჩხაიძე', 'რევაზ ნაჭყეაძე'.

თიბურ ჯანაშვილი ტალინიდან



ეს-ესაა, ტალინელთა მეკარე პაველ კისელიძეა ზურაბ იონანიძის შეტევა შეიხერა



ანდრეი ჩელნოკოვს (№7) ვახტანგ ხედაგიანი იოლად რას გაუშვებდა

თიბურ ჯანაშვილი ტალინიდან

ცნობილი და არცნობილი

ამ შემთხვევაში უფროსი ქართველი კაცს პატარა კი გახარებს. ასე არ არის? პოლა, გაგვანარა გუშინწინ „ტორპედო“. უფასო თასის გათამაშების შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩში ჩვენმა ვიცე-ჩემპიონმა და თასის მფლობელმა (რა კარგად უღერს, არა?) ესტონური „ლანტანა“ გაანადგურა მისსავე მოედანზე, 5:0 (ევროტურნირებში ჩვენებურ გუნდებს სტუმრად ასეთი დიდი ანგარიშით მანამდე არ მოუვიათ) სძლია და ასლა ქვეყანა უნდა დაიქცეს, რომ ქუთაისელებმა მომდევნო წრეში გასვლა ვერ შეძლონ. უბრალოდ, წარმოუდგენელია. უფასო ტორპედოელთა პირველი მეტოქის შესახებ ბევრს ვწერდით, წინა „სარბიელში“ „ლანტანა“ — „ტორპედოს“ ტალინური რეპორტაჟიც შემოვთავაზეთ. ამ გუნდის შესახებ მკითხველს უკვე გარკვეული წარმოდგენაც შეექმნა, მაგრამ მოდი, ერთხელაც ვიქვით იმაზე, რაც აქამდე არ გვისწავლია და ვერც ვახსენებდით, რადგანაც ზოგჯერ რამის გაგების შესაძლებლობა მხოლოდ იქ, ტალინში მოგვეცა.

რუსებისადმი ესტონელთა დამოკიდებულებაზე გაგონილი მანაც უნდა გქონდეთ, „ლანტანა“ მილიონწახვერიან ქვეყანაში რუსული დიასპორის გუნდად აღიარებული. ამიტომაცაა, რომ თვით იქაურ უმაღლეს საფეხბურთო წრეებშიც კი მას მაინცდამაინც არ წყალობენ და ფეხბურთის ფანატიკოს

სი ბელოვების ოჯახი რომ არა, ეს კლუბი, ალბათ, ვერც იარსებებდა. ისე, უპრეცედენტო შემთხვევაა. ასე განსაჯეთ, ოჯახის მამა — ანატოლი ბელოვი „ლანტანას“ მთავარი მწვრთნელია, მისი ვაჟი, 33 წლის სერგეი კლუბის პრეზიდენტი გახლავთ, თანაც თამაშობს. ეს ჩვენმა ესტონელმა კოლეგამ შეგვატყობინა, მაგრამ იმის თქმა დაავიწყდა, რომ „ლანტანაში“ მესამე ბელოვიც არის — სერგეის უმცროსი ძმა ალექსანდრი. იგი თურმე კლუბის მენეჯერია.

— რაც თავი მახსოვს, იქიდან მიყვარს ფეხბურთი — გაგვენო ანატოლი ბელოვი — ჭაბუკობაში სულ ბურთს დავევდი, სამოყვარულო გუნდებსაც მითამაშია. ერთხელ ბედმა ინება და ჭიდაობის სექციაში ჩავეწერე. მოვიხიანებთ „ბერნული-რომაული“ მწვრთნელიც გაგხდის. საკმაო ხანი დავყავი ხალიჩაზე. პო, სერგეი ბიზნესს მიჰყო ხელი, ამერიკაში, ფლორიდაში ცოტა ფული იშოვა და შინ რომ დაბრუნდა, საფეხბურთო კლუბი შეიძინა, სახელიც თავად შეურჩია — „ლანტანა“. ჩემი არ იყო, სერგეიც მხოლოდ მოყვარული ფეხბურთელია. მან მირჩია, რაღა სხვა ვეძებო, მამა, გუნდს შენ გაუძებო. ბევრი თუ ცოტა თამაშისა გამეგება და ასე დავიწყეთ. „ლანტანა“ ორჯერ გავხადეთ ჩემპიონი. სხვა მიღწევებიც გვაქვს. სერგეი ახლა სატრანსპორტო ფირმის მფლობელია,

მეც მაქვს პატარა საცხოვრობი. ამით ვარჩნით გუნდს. ცოტა გვიჭირს, მაგრამ საქმეს ხელს არ გაუშვებთ. პო, საშაკ გვიდგას გვერდში. მასაც აქვს პატარა ბიზნესი.

ესტონეთმა, მოგეხსენებათ, ერთ-ერთმა პირველმა დააღწია თავი დიდ მძურ ოჯახს, სსრკ რომ ერქვა. დააღწია და ამით ახლა მხოლოდ სიკეთეს იმკის. პო, ბატონო, ჩვენ რომ ყველაფერი საქართველოდან გავზიდეთ, მაშინ ესტონელები პირიქით მოიქცნენ, საკუთარიც შეინარჩუნეს და სხვისგანაც გამოიღრდნენ. გენბათ, ფერად ლითონებთან დაკავშირებული ამბები გაისხენით. ტალინში ადრეც გახლდით და ამის თქმა თამამად შემიძლია — შენდება და მშენდება ძველთაძველი დედაქალაქი.

ცხოვრების დონეს იკითხავთ, ალბათ. ეკონომისტი არ გახლავართ, მაგრამ უბრალოდ არითმეტიკას მოვიშველიებ. მინიმალური ხელფასი აქ 2500 კრონი ყოფილა, რაც დაახლოებით 180 ამერიკულ დოლარს უტოლდება, მინიმალური პენსია 1400 დაუგვიანებელი კრონია (დოლარებში თავად გადაიყვანეთ), კვების პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების საგნებზე ფასები დაახლოებით ისეთივეა, როგორც ჩვენთან. უმუშევრები და მუქთამჭამლები, როგორც ყველგან, აქაც მოიძებნებიან. ოღონდ ნუ შეადარებთ...

იუსტ კაცობაში
ქუთაისი — ტალინი — ქუთაისი



ტალინი და ტალინელები

თიბურ ჯანაშვილი ტალინიდან

გასოკიძე მაკაბელი


რამდენიმე დღის წინ პოლანდიურ პრესაში მოთამაშე გოგა გახსოვდა ერთი რუსი მწვერული შეხმანა და ისრაელის, პაიფას „მაკაბიში“ თამაში შესთავაზა. რუსს გოგამ დუმილით უპასუხა.

სამაგიეროდ, ენა დაიგრძელეს ჩვენებურის კლუბმა და მწვრთნელმა ვიქტორ გერეცსმა, გახსოვდა დროებით სიაში მყოფი დაეთობით, ოღონდ ამდენი და ამდენი გადაიხადეთ.

„მაკაბი“ პოლანდიელთა ფასს დაყაბულბულა და როგორც წუხელ თავად გოგამ გვითხრა, ფაქტობრივად, გადაწყვიტა მისი ისრაელში გადაბარება — ახლა მხოლოდ ვიზის პრობლემაა მოსაგვარებელი და ორ დღეში პაიფაში გავერინდებით — დაამატა გახსოვდეთ.

ქართველი ნახევარმცველი „მაკაბიში“, როგორც წინასწარი მოლაპარაკებისას ითქვა, მისის ბოლომდე დარჩება, მერე კი ისევ პრესა დაუბრუნდება.

კობა ინასარიძე



ზაზა ჯანაშვილი

გოლი, კიდევ გოლი...

ზაზა ჯანაშვილი, „ლოკომოტივის“ ქართველი ლეგიონერი კვლავ ფორმაშია, ისევ გააქვს გოლები. ბელარუსის „ბატე“ საფეხბურთო გრანდი ნამდვილად არ არის, მაგრამ სტუმრად სამი გოლის გატანაც არ უნდა იყოს ურიგო შედეგი.

ზაზამ მასპინძელთა რბევა მეხუთე წუთიდან დაიწყო. ფორვარდმა კარგად გამოიყენა მცველთა შეცდომა და მარცხენა ფეხით არცთუ ძლიერად, მაგრამ ზუსტად, დაარტყა კარში. მასპინძელთა მეკარე ფიოდოროვი უძლური იყო. გოლს, თქმა არ უნდა, ტრადიციული კულბიტი მოჰყვა. ქართველი მორიგე გამარჯვებას ზეიმობდა.

„ბელარუსი ფეხბურთელები დიდხანს ვერ დაივიწყებენ ზაზა ჯანაშვილს. არ არის გამოირცხული, მისი თამაში სიზმარშიც არაერთხელ იხილონ“ — აღნიშნავდა გუშინ ადგილობრივი პრესა.

ქართველმა თამაშის დამთავრებამდე კიდევ ორჯერ შეასრულა მისი საყვარელი ტრიუკი, კიდევ ორი კულბიტი. ზა-

ზამ პეტი თრიქი უძღვნა იური სიომინს.

— მგონია, მას კარგად ვიცნობ, თითქოს ყველანაირად შესწავლილი მყავს, მაგრამ ზაზას შეუძლია, თითქმის ყოველდღე გამოაცოცხლოს, სიურპრიზი შემოგვთავაზოს — ამბობს „ლოკომოტივის“ თავკაცი იური სიომინი.

— დარწმუნებული ვიყავი და აზრსაც ვერავინ შემაცვლევინებდა, რომ ის მზად არ იყო თამაშისთვის, მაგრამ მაინც დავაყენე. რა ვიფიქრო, არ ვიცი, ჯანაშვილი მინდორზე დაფრინავდა. არა, იგი საქმეში შეუდარებელია.

„სპორტ ეკსპრესი“ ჯანაშვილს თამაშს მ ქულთ აფასებს. თითქმის უმაღლესი შეფასებაა. ქართველმა ფორვარდმა მართლაც ჩვეულად გაიბრწყინა.

გოლით დაიწყო თავისი ევროსეზონი გოლით დაიწყო „გრასჰოპერიდან“ „ციურიზში“ გადასულმა მიხეილ ყაველაშვილმა. მიშა საქმის მკეთებელი, მშრომელი და სასარგებლო მოთამაშეა. ჭკვიანი მწვრთნელი ასეთ ფეხბურთელს მუდამ გამოიყენებს.

ვფიქრობთ, ყაველაშვილი „ციურიზში“ გაცილებით უკეთ გამოავლენს თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს. ყაველამ უკვე დიდი ხანი დაძლია კრიზისი და ამიერიდან მისგან კარგ დაღამაზ ფეხბურთს უნდა ველოდეთ.

თავი ისახელა მოლდოვერ „შერიფში“ გადაბარებულმა დავით მუჯირმა. მოლდოვა არ არის ის ქვეყანა, სადაც მუშის თამაშს ვისურვებდით, მაგრამ რა გაეწყობა, ფეხბურთელმა ასე გადაწყვიტა. მუჯირს აქამდეც გოლი გოლზე გაჰქონდა მოლდოვერ ჩემპიონატში და ევროდებიუტიც გოლით დაიწყო. „შერიფი“ ჩეზურ „სიმგისთან“ საშინაო მატჩში სწორედ მუჯირის დარტყმის შემდეგ დაწინაურდა, თუმცა უპირატესობის შენარჩუნება ბოლომდე ვერ შეძლო და ფრეს დასჯერდა.

დაველოდოთ საპასუხო მატჩებს. იმედია, კახა კალაძე, ზაზა ჯანაშვილი, მიხეილ ყაველაშვილი, გოჩა ჯამარაული და სხვებიც თავს ისახელებენ.

მამუბა კვანტალიანი

გერმანია

I ტური
დუისბურგი 0:0 ლევიკოუზენი
ვოლფსბურგი 2:1 მიუნხენ 1860
0:1 ტომსენი (17ს.კ.), 1:1 ბანგა (75), 2:1 ნოვაკი (89)

II ბუნდესლიგა

I ტური
ხეინცი 2:0 მიუნხენგლადახსი
კოტბუსი 2:0 ფორტუნა
ზტ. პაული 0:0 ფიურტი
გაინცი 1:1 ოფენბახი

ჰოლანდია

I ტური
დენ ზოსი 0:4 ფაინროორდი

ჩეხეთი

III ტური
პრადეც კარლოვი 0:1 სლავია

თურქეთი

II ტური
ალთაი 0:0 გიოზთაფა


ინგლისი

I დივიზიონი. II ტური
ჰადერსფილდი 3:2 პლემპერი

კასპაროვი - მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მგ1-f3 d7-d6 3. კფ1-b5+
კ8-d7 4. კხ5:d7+ ლდ8:d7 5. c2-c4 მხ8-
c6 6. მხ1-c3 მგ8-f6 7. 0-0 გ7-გ6 8. d2-d4
c5:d4 9. მფ3-d4 კგ7 10. მდ4-e2 ლდ7-e6
11. მც3-d5 ლე6:e4 12. მდ5-c7+ მფე8-
d7 13. მც7:a8 ლე4:c4 14. მა8-b6+ ა7:b6
15. მხ1-c3 ეხ8-a8 16. ა2-a4 მფ6-e4 17.
მც3:e4 ლც4:e4 18. ლდ1-b3 f7-f5 19.
კც1-გ5 ლე4-b4 20. ლხ6-f7 კგ7-e5 21.
h2-h3 ეა8:a4 22. ეა1:a4 ლხ4:a4 23.
ლფ7:h7 ეე5:b2 24. ლფ7:გ6 ლა4-e4 25.
ლგ6-f7 კხ2-d4 26. ლფ7-b3 f5-f4 27.
ლხ3-f7



ფრთხილად, ქალია!



რას საინტერესოა, როგორ მრავლდებიან ამერიკაში... ამბობენ, ზოგ შტატში ქალს თუ შეხედე, სასამართლოში თავს ამოყოფო. კაცებსაც რაღა დარჩენიათ და ერთმანეთის ცქერაზე გადასულან...
მართალია ეს ამბავი თუ არა, ერთი ფაქტია — ასეთ ქალს, ბეისბოლის გუნდის „მილუოკი ბრიუერზის“ პრეზიდენტი უენდი სელინგ-პრიები რომ არის, ჯობს არა-თუ არ შეხედო, არამედ დაემალო. რატომ? იმიტომ, რომ ამ ფოტოზე ალბეცდვის წინ მან გუნდის მწვრთნელი ფილ გარნერი და გენერალური მენეჯერი სალ ბენდო თანამდებობებიდან დაითხოვა. თანაც, გარნერის შვიდწლიანი ლეანლისა და ბენდოს 23 წლიანი ერთგულების მიუხედავად ხმაც არ ათართოლებია, ისე გამაოც-ხადა ეს ამბავი პრესკონფერენციაზე.
შეხედეთ, რა სახით იყურება...



ო, რა კარგია წვიმა

წვიმად, წვიმად გუშინწინ, და მერე იცით რა მოხდა? მეხი გავარდა თუ არა, ამერიკის შტატ ილინოისის „მედინა ქანთრი კლამში“ შეკრებილი გოლფის მოყვარულები შინისაკენ გაემართნენ, PGA-ს ჩემპიონატის პირველი ტური გადაიდო, ხოლო სადაც ამჟამად ფოტორეპორტიორმა რიკ უილინსმა შენიშნა, რომ სტადიონზე ქოლგების გამყიდველებმა ორი კაპი იმთავითვე.



სანტო დომინგო, უან უაგვიწყალა

წახდა ქვეყანა. აქამდე ადამიანები ამხედრდებოდნენ სოლმე ცხენებზე და ცხოველებზე სანადიროდ მიდიოდნენ. ახლა კი მაიმუნი ხარზე შემოსუბებულა და კაცზე სანადიროდ გასულა. ამის მერე აღარაფერია გასაკვირი, არც ის, ერთხელ ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ფრანც ბეკენბაუერმა რომ თქვა, ნეტავ საკუთარი ცოლისგან დაფეხმძიმდეთ... თუმცა, ფეხბურთი რა სასხენებელია, როდესაც ნიკარაგუაში რელიგიური დღესასწაულია, სანტო დომინგოთა ანუ ათდიანი სმა, ხარების ბრძოლა და აი, ის, რაც ფოტოზეა — მხედარი მაიმუნების შეჯიბრება.

ჯორდანელები

ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი და დეიმონ ჰილი თანაგუნდელები „ჯორდანის“ პილოტები არიან. ფოტოები მონაშობს, რომ ორივენი ბუდაპეშტში ჩასულან „ჰუნგარიანგზე“ რბოლის წინ, მაგრამ ბოლიდებსგარე საფეხური სხვადასხვა ჰქონიათ. ფრენცენს დარდი არ აქვს, ფული კი რამდენიც გინდა, ამიტომაც თავის ტურფა ტანის თავისუფალ დროს, გიტარას და ჩქარ ტაშს არ მოაკლებს. ჰილიც არ წუნუნებს ფულზე. დარდი კი... ფოტოზე ბიჭუნას რომ ხედავთ, მისი ავადმყოფი ვაჟი ჯოშუაა, ხოლო ასაკოვანი ჯენტლმენი პროფესორი სიდნი უოტკინსი.



სარბიელი

საორტული გაზეთი

გამოიცვამა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოცხვერია

დირექტორი გიორგი ოძროშვილი

რედაქტორი თამაზ მიგრიაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი

ავთანდილ გურასაშვილი

ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი მასტანბ ბუჩქაძე

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიძე

ტექნიკური რედაქტორი გურამ სელაშვილი

კალათბურთის განყოფილების გამგე მირაბ რატიშვილი

ფეხბურთის რედაქტორი ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პატა კვანტალიანი, ზვირა სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოლუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქტორი ირაკლი თავაძე, ვაიოხ თალაკვაძე, პაატა თითაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე; ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე; სტილისტები მაია აბინაძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი; კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა ლევაძე, მაგა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე; ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი; გამო-მწეები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზვბაძის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29 ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli